დამტკიცებულია:
სსიპ პროფესიული კოლეჯი „მოდუსი“-ს
დირექტორის 2018 წლის 11 ივლისის #_____ ბრძანებით

_____
კარლო კერვალიშვილი

სსიპ პროფესიული კოლეჯი ,,მოდუსი“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

სამკერვალო წარმოება

საკონტაქტო ინფორმაცია:
მისამართი: ქ. რუსთავი, შარტავას ქ.N4

პროგრამის ხელმძღვანელი: იამზე ყაველაშვილი

რუსთავი
2018 წ.

1. **ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა:** სამკერვალო წარმოება **Sawing industry**
2. **ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა:** 07120-3
3. **პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით:** მესამე
4. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში **The third level vocational qualification in sewing industry.**
5. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:**
   სამკერვალო წარმოების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს სამკერვალო წარმოებისათვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტის აღზრდა, რომელიც შეძლებს, ქალის, მამაკაცის, ბავშვის ტანსაცმლის და სხვადასხვა დანიშნულების სამკერვალო ნაწარმის კონსტრუირებას, მოდელირებას და მასალაში შესრულებას, ასევე, ქართული ეროვნული სამოსის მასალაში შესრულებას და დეკორატიულ გაფორმებას, ტანსაცმლის შეკეთებას, გადაკეთებას და აღდგენას, საკერავი მანქანებისა და თბურ-დანამვითი დანადგარების შერჩევა/გამოყენებას და სამკერვალო ნაწარმის ხარისხის კონტროლს.

6. **დაშვების წინაპირობა:** საბაზო განათლება
7. **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:** მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციით სამრეწველო წარმოებაში პირს შეუძლია დასაქმდეს დიდი, საშუალო და მცირე სიმძლავრის სამკერვალო საწარმოებში, მოდის სალონებში მკერავის და კონსტრუქტორის პოზიციაზე.

8. **სტრუქტურა და მოდულები :**
   პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მესამე დონის კვალიფიკაციის კომპეტენციებს. მოცემულია **6** ზოგადი მოდული **16** ჯამური კრედიტების რაოდენობით და სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი **16** მოდული **83** ჯამური კრედიტების რაოდენობით, სულ **99** კრედიტი.

- მოდულის, ,,ქართული ენა A2" გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით.
- აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. შესაბამისად, ასეთი პირებისათვის კრედიტთა ჯამური რაოდენობა იქნება **114** კრედიტი;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა დაგეგმილია შემდეგი თანმიმდევრობით: ზოგადი სავალდებულო მოდულების პარალელურად გაცნობითი პრაქტიკა, პროფესიული/დარგობრივი მოდულები, ხოლო შემდეგ - საწარმოო პრაქტიკა და პრაქტიკული პროექტი.

ზოგადი მოდულები

№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1.	0610003 ინფორმაციული წიგნიერება 1	• საბაზო განათლება	3
2.	0030104 ინტერპერსონალური კომუნიკაცია	• საბაზო განათლება	3
3.	0020103 რაოდენობრივი წიგნიერება	• საბაზო განათლება	2
4.	0410003 მეწარმეობა 1	• საბაზო განათლება	2
5.	0110004 სამოქალაქო განათლება	• საბაზო განათლება	4
6.	0230101 უცხოური ენა	• საბაზო განათლება	2
		ჯამი;	16

პროფესიული/დარგობრივი მოდულები

№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1.	0712001 გაცნობითი პრაქტიკა სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა	საბაზო განათლება	2
2.	0712011 კოსტიუმის ისტორიის საფუძვლები	საბაზო განათლება	2
3.	0712003 ტანსაცმლის კომპოზიციის შექმნა	საბაზო განათლება	5
4.	0712002 სატანსაცმელე მასალების კონფექციონირება	საბაზო განათლება	3
5.	0712004 ტანსაცმლის დამუშავების საწყისები და ზოგადი ტექნოლოგია	საბაზო განათლება	5
6.	0712005 ქალის ტანსაცმლის კონსტრუირება და მოდელირება	საბაზო განათლება	6
7.	0712006 მამაკაცის ტანსაცმლის კონსტრუირება და მოდელირება	საბაზო განათლება	5
8.	0712007 ბავშვის ტანსაცმლის კონსტრუქტორული და ტექნოლოგიური დაგეგმარება	• ტანსაცმლის დამუშავების საწყისები და ზოგადი ტექნოლოგია	5
9.	0712012 ქართული ეროვნული სამოსის დეკორატიული გაფორმება	• საბაზო განათლება	5
10.	0712008 ქალის ტანსაცმლის მასალაში შესრულება	• ტანსაცმლის დამუშავების საწყისები და ზოგადი ტექნოლოგია • სატანსაცმლე მასალების კონფექციონირება	7
	0712009 მამაკაცის ტანსაცმლის მასალაში შესრულება	• ტანსაცმლის დამუშავების საწყისები და ზოგადი ტექნოლოგია	4

		• სატანსაცმლე მასალების კონფექციონირება	
11.	0712013 ქართული ეროვნული სამოსის მასალაში შესრულება	• ტანსაცმლის დამუშავების საწყისები და ზოგადი ტექნოლოგია • სატანსაცმლე მასალების კონფექციონირება • ქალის ტანსაცმლის მასალაში შესრულება • მამაკაცის ტანსაცმლის მასალაში შესრულება	10
12.	0712010 სხვადასხვა დანიშნულების სამკერვალო ნაწარმის მოდელირება და კერვა	• ტანსაცმლის დამუშავების საწყისები და ზოგადი ტექნოლოგია • სატანსაცმლე მასალების კონფექციონირება	5
13.	0712014 ტანსაცმლის შეკეთება, გადაკეთება და აღდგენა	• ტანსაცმლის დამუშავების საწყისები და ზოგადი ტექნოლოგია	2
14.	0712015 პრაქტიკული პროექტი	• ტანსაცმლის კომპოზიციის შექმნა; • ქალის ტანსაცმლის კონსტრუირებადა მოდელირება • მამაკაცის ტანსაცმლის კონსტრუირებადა მოდელირება • ქალისტანსაცმლის მასალაში შესრულება • მამაკაცის ტანსაცმლის მასალაში შესრულება	7
15.	0712016 საწარმოო პრაქტიკა	• ტანსაცმლის დამუშავების საწყისები და ზოგადი ტექნოლოგია • ქალის ტანსაცმლის კონსტრუირება და მოდელირება • მამაკაცის ტანსაცმლის კონსტრუირება და მოდელირება • ქალის ტანსაცმლის მასალაში შესრულება • მამაკაცის ტანსაცმლის მასალაში შესრულება • ტანსაცმლის შეკეთება, გადაკეთება და აღდგენა	10
16.		ჯამი;	83
17.		სულ:	99

9. მისანიჭებელი კვალიფიკაციის აღწერა - სწავლის შედეგები

სამკერვალო წარმოებაში მესამე საფეხურის კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია:

- უზრუნველყოს უსაფრთხო სამუშაო ადგილის ორგანიზება;
- შექმნას სხვადასხვა დანიშნულების ტანსაცმლის კომპოზიცია;
- შეარჩიოს სამკერვალო ნაწარმის დამზადებისათვის საჭირო ძირითადი და დამხმარე მასალები, დაამზადოს ჩანახაზი და გამოჭრას ქსოვილი;
- გამოიყენოს ტანსაცმლის დამზადებისათვის საჭირო სხვადასხვა დანიშნულების სამკერვალო მანქანები და თბურ-დანამვითი დამუშავების მოწყობილობები;
- დაამუშაოს ტექნოლოგიურად ტანსაცმლის დეტალები და ძირითადი კვანძები;
- გაიანგარიშოს საწყისი მონაცემები ქალის, მამაკაცისა და ბავშვის ტანსაცმლის კონსტრუქტორული დაგეგმარებისათვის;
- განახორციელოს ქალის, მამაკაცისა და ბავშვის ტანსაცმლის კონსტრუქტორული დაგეგმარება და მოდელირება;
- გააფორმოს დეკორატიულად ქართული ეროვნული სამოსი;
- შეასრულოს მასალაში ქართული ეროვნული სამოსი;
- შეასრულოს მასალაში ქალის ტანსაცმელი;
- შეასრულოს მასალაში მამაკაცის ტანსაცმელი;
- შეასრულოს მასალაში ბავშვის ტანსაცმელი;
- შეასრულოს მასალაში სხვადასხვა დანიშნულების სამკერვალო ნაწარმი;
- გადააკეთოს ტანსაცმელი;
- აღადგინოს ტანსაცმლის დაზიანებული უბნები.

10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **სამკერვალო წარმოება** შემუშავებულია მესამე საფეხურის კვალიფიკაციის მისაღებად: და სრულად მოიცავს სავალდებულო ზოგად და სავალდებულო პროფესიულ მოდულებს.

11. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.
სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:
ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით

პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება:

1.არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.
2.განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე, ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

3.განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება (წინაპირობების არსებობის შემთხვევაში განმეორებითი შეფასების ჩატარების ვადები განისაზღვრება სასწავლო გეგმით).
5. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

12. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს სსიპ პროფესიული კოლეჯი „მოდუსის“ პრეროგატივას, პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულო ზოგადი და სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

13. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-12 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

14. პარტნიორი ორგანიზაციების სია:

1. შპს "სამოსი" - ს.კ. 404453319;
2. შპს "Maika.ge"- ს.კ 404430175;
3. შპს "ბაჩურა" - ს.კ. 216336622;
4. ი.მ. მარიამ მათურელი - ს.კ. 20001062176;

დანართები:

- დანართი №1 - საგანმანათლებლო პრგრამის სასწავლო გეგმა
- დანართი №2 - მატერიალური რესურსი
- დანართი №3 - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი
- დანართი №4 - 0110001, ,,ქართული ენა A 2”

- დანართი №5 - სასწავლო გეგმა, ქართული ენა;
- დანართი №6 - 0610003, ინფორმაციული წიგნიერება 1;
- დანართი №7 - 0230101, უცხოური ენა (ინგლისური ენა);
- დანართი №8 - 0410003, მეწარმეობა 1;
- დანართი N9 - 0020103, რაოდენობრივი წიგნიერება;
- დანართი №10 - 0030104, ინტერპერსონალური კომუნიკაცია;
- დანართი №11- 0110004, სამოქალაქო განათლება;
- დანართი №12 - 0712001,გაცნობითი პრაქტიკა სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა;
- დანართი №13 – 0712011, კოსტიუმის ისტორიის საფუძვლები;
- დანართი №14 - 0712003, ტანსაცმლის კომპოზიციის შექმნა;
- დანართი №15 - 0712002, სატანსაცმელე მასალების კონფექციონირება;
- დანართი №16 - 0712004, ტანსაცმლის დამუშავების საწყისები და ზოგადი ტექნოლოგია;
- დანართი №17 – 0712005, ქალის ტანსაცმლის კონსტრუირება და მოდელირება;
- დანართი №18 – 0712006.მამაკაცის ტანსაცმლის კონსტრუირება და მოდელირება;
- დანართი №19 – 0712007, ბავშვის ტანსაცმლის კონსტრუქტორული და ტექნოლოგიური დაგეგმარება;
- დანართი №20 – 0712012, ქართული ეროვნული სამოსის დეკორატიული გაფორმება
- დანართი №21 - 0712008, ქალის ტანსაცმლის მასალაში შესრულება;
- დანართი №22 - 0712009, მამაკაცის ტანსაცმლის მასალაში შესრულება;
- დანართი №23 - 0712013, ქართული ეროვნული სამოსის მასალაში შესრულება;
- დანართი №24 – 0712010, სხვადასხვა დანიშნულების სამკერვალო ნაწარმის მოდელირება და კერვა;
- დანართი №25 - 0712014, ტანსაცმლის შეკეთება, გადაკეთება და აღდგენა;
- დანართი №26 - 0712015, პრაქტიკული პროექტი;
- დანართი №27 - 0712016 საწარმოო პრაქტიკა;